

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკურ საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 12

ქ.ვანი თავისუფლების N65

13 ივნისი 2018 წელი

12 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგობერიძე, დავით ხარძეიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, პაატა ხურციძე, დავით ადეიშვილი, სანდრო ხურციძე, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: გია ხარაბაძე, ბიჭიკო პაიკიძე, რობიზონ ფუტკარაძე,

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

მოწვეული პირი: ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე.**

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **გიგა გოგობერიძე. (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე წარმოდგენილი პროექტის განხილვის შესახებ.

მომხს:/ზვიად კაპანაძე./

2. ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში დამისამართებულ N6 ქუჩისთვის და ამავე ქუჩის შესახვევებისა და ჩიხებისთვის ,დავით დვალიშვილის სახელდების მინიჭების თაობაზე.

მომხს:/გიგა გოგობერიძე/

3. ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ქვედა მუქედში დამისამართებულ N4 ქუჩისათვის და ამავე ქუჩის ჩიხისთვის ლავროსი ივანიაძის სახელდების მინიჭების თაობაზე.

მომხს:/გიგა გოგობერიძე/

4. ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში დამისამართებული სოფელ ზედა მუქედის N 10 ქუჩისათვის და ამავე ქუჩის ჩიხისათვის მიხეილ დვალიშვილის სახელდების მინიჭების შესახებ.

მომხს:/გიგა გოგობერიძე/

5. ვანის მუნიციპალიტეტში 2018 წელს განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს: /მამუკა ნამიჭეიშვილი/

გადაწყვეტის: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა წარმოდგენილი პროექტის თაობაზე და განმარტა, რომ ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილ იქნას მუნიციპალური საკუთრების შემდეგი ობიექტები:

- 1.1. ავტომანქანა მიცუბიში პაჯერო V6 GLZ, სახელმწიფო ნომრით OWO-991;
- 1.2. ავტომანქანა მერსედეს ბენცი C-230, სახელმწიფო ნომრით BXB-313;
- 1.3. ავტომანქანა ოპელ-ვექტრა, სახელმწიფო ნომრით OYO-549;
- 1.4. ავტომანქანა მერსედესი C-220, სახელმწიფო ნომრით XIX-678;
- 1.5. ავტომანქანა მიცუბიში მონტერო-სპორტი, სახელმწიფო ნომრით TTE-317;
- 1.6. ავტომანქანა მიცუბიში მონტერო, სახელმწიფო ნომრით TRT-282.

პირველი მუხლის 1- 1.6. ქვეპუნქტებით ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი ფასი განისაზღვროს შემდეგნაირად:

- 2.1. ავტომანქანა მიცუბიში პაჯერო V6 GLZ, სახელმწიფო ნომრით OWO-991 4500 (ოთხიათასხუთასი) ლარი;
- 2.2. ავტომანქანა მერსედეს ბენცი C-230, სახელმწიფო ნომრით BXB-313 800 (რვაასი) ლარი;
- 2.3. ავტომანქანა ოპელ-ვეტრა, სახელმწიფო ნომრით OYO-549 800 (რვაასი) ლარი;
- 2.4. ავტომანქანა მერსედესი C-220, სახელმწიფო ნომრით XIX-678 1000 (ათასი) ლარი;
- 2.5. ავტომანქანა მიცუბიში მონტერო-სპორტი, სახელმწიფო ნომრით TTE-317, 1500 (ათასხუთასი) ლარი;
- 2.6. ავტომანქანა მიცუბიში მონტერო, სახელმწიფო ნომრით TRT-282 4500 (ოთხიათასხუთასი)

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

დაადგინეს:

მოწონებული იქნას ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის, საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრისა და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების პრივატიზების პროცესის დაჩქარებისა და მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე წარმოდგენილი პროექტი.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

/დანართი N2/

მომხრე - 10
წინააღმდეგი - არცერთი

მოსმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის შალვა ლორთქიფანიძის ინიციატივა დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში დამისამართებულ N6 ქუჩისთვის და ამავე ქუჩის შესახვევებისა და ჩიხებისთვის, დავით დვალიშვილის სახელდების მინიჭების თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი დოკუმენტაცია გააცნო კომისიის წევრებს, კომისიამ იმსჯელა, საკითხი განიხილეს და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სოფ. დიხაშხოს თემში არსებულ ქუჩას მიენიჭოს დავით დვალიშვილის სახელი.

დაადგინეს: კომისიის მიერ მოწონებული იქნა ვანის მუნიციპალიტეტის დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში დამისამართებულ N6 ქუჩისთვის და ამავე ქუჩის შესახვევებისა და ჩიხებისთვის, დავით დვალიშვილის სახელდების მინიჭებას.

აღნიშნულის თაობაზე დამტკიცდეს კომისიის შესაბამისი დადებითი დასკვნა.

მოხმინეს:

დღის წესრიგის მესამე და მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ივანე კორძაძის ინიციატივა მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ქვედა მუქედში დამისამართებულ N4 ქუჩისათვის და ამავე ქუჩის ჩიხისთვის ლავროსი ივანიაძის სახელდების მინიჭების თაობაზე და ასევე ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში დამისამართებული სოფელ ზედა მუქედის N 10 ქუჩისათვის და ამავე ქუჩის ჩიხისათვის მიხეილ დვალიშვილის სახელდების მინიჭების შესახებ.

კომისიის წევრებმა განიხილეს აღნიშნული დოკუმენტაცია „გეოგრაფიული ობიექტების სახელობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის დადგენილების შესაბამისად, გამოვდივართ ინიციატივით, რომ სოფ. ზედა მუქედში დამისამართებულ მე-10 ქუჩას (I ჩიხის ჩათვლით) მიენიჭოს მიხეილ დვალიშვილის სახელი და ასევე სოფელ.ქვედა მუქედში დამისამართებულ მე-4 ქუჩას მიენიჭოს ლავროსი ივანიაძის სახელი.

დაადგინეს:

კომისიის მიერ მოწონებული იქნა ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ქვედა მუქედში დამისამართებულ N4 ქუჩისათვის და ამავე ქუჩის ჩიხისთვის ლავროსი ივანიაძის სახელდების მინიჭება და ასევე ვანის მუნიციპალიტეტის მუქედის ადმინისტრაციულ ერთეულში დამისამართებული სოფელ ზედა მუქედის N 10 ქუჩისათვის და ამავე ქუჩის ჩიხისათვის მიხეილ დვალიშვილის სახელდების მინიჭება.

/დანართი N4; დანართი N5/

მოხმინეს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტში 2018 წელს განხორციელებული და მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ ინფორმაცია.

კომისიის მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით იყო მოსაზრებები და შენიშვნები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხების

და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე